



ხელის მოწერა და დასრულება... ხელმოწერული წერილები არ დაიბეჭდება...

განცხადების ვაჭი:

წვეულებრივი სტრუქტონი პირველ გვერდზე პეტრიტი ღირს 15 კ., უკანასკნელზე — 10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) და ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

ვაჭები „საქართველოს“ წლის დანაწილება ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გაზარდა ამხარად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი.

კ. ზუგულაშვილის სახელ. სახალხო სახლი

ქართ. დრამატ. დასის მსახიობთა მიერ ქ. ე. მესხის, ტასო აბაშიძის, ბ. ბ. ვ. აბაშიძის, კ. ყიფიანის, ვ. გუნიას, ს. სვიმონიძის და სხ. მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

პვირას, 14 ივნისს 1915 წ.

ქართული კლუბის საზოგადოებრივი ბაღში, (მიხეილის ქუჩა, იუნკრის სკოლის პირდაპირ) გაიხატება

დიდი სეირნობა

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის სახარგებლოდ და ღონის გასაძლიერებლად.

ლოკატორი მადონისა მისე ანთიმოსის მე კალანდარიშვილი

ბილისის ექიმი ქალი ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დღით 9—2 ს. და სღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კიროსის შესახვევის 21.

ოქმის დღიურები

გიგოხილვა ლვოვის ალბის შემდეგ მოსალოდნელია შედარებით ჩანჩქელი ბრძოლის ალიციაში. რა თქმა უნდა, იგი იქნება როგორც, რადგან ვალციის ოპორაის ბედი თითქმის გამოირკვა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არის დასრულებული.

სამხრეთ-აღმოსავლეთით და მდინარე დნესტრზე. ბრძოლის პირს რომ თვალი გადავაყვანოთ, ამის მიზეზს ადვილად გავიგებთ. ბრძოლის პირი ლვოვიდან უკანაგონდგე სამხრეთით მიდის, მერე დნესტრის გაყოფებით უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ავსტრო-გერმანელები ლვოვ-ბერეჟანის რკინის გზას გაჰყვანენ და ლვოვიდან ჩიფუკუვამდე, 15 ვერსის მანძილზე, ავიდნენ. ბერეჟანი მდებარეობს ლვოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით 80 ვერსის მანძილზე, და ნიჟნიოვის (დნესტრზე, სადაც ავტო ორი კვირა იქნება მეტად ცხარე ბრძოლა ხდებოდა) ჩრდილოეთით 50 ვერსის მანძილზე.

თბილისის სახაზინო თეატრი

შაბათს 13 ივნისს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით თვის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად გაიმართება

საპონსარსო განყოფილება

- 1. ბორდინი. Вь среднй Азии. სიმფონიური პოემა, შვარს. სიმფონ. ორკესტრი ზ. ჯ. ფალიაშვილის ლიტურგიით. 2. გრიგი PEER GYNT. ა) Tro, ბ) Смерть Азы, გ) Танець Анитры, დ) Вь чертогахъ паря горь. 3. სენდსენი. Зароухайда. 4. სიბელიუსი. Вальсь печали. 5. როკინდელაუაზი. Сигнальные рожки.

დეკაუზები

თბილისი, 11 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 9 ივნისს ზღვის ნაპირის მიმართულდებოთ მართანდეს შორის ჩვეულებრივ ხროლა მხდებოდა. ოლთისის მხარეს ოსმალთა ყველა იერიში მოგერებულ იქნა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

და სუბუქმა არტილერიამ. კონსერკინის რაიონში 9 ივნისს ჩვენი ჯარები იერიშებით ეკვეთნენ წინა დღით მტრის მიერ გამაგრებულ ახალს პოზიციებზე. მათვე მახლობლად გაიკეთეს თხრილები, ხოლო 10 ივნისს განითავის იერიში განვახალღეთ. მტრის არ მთუსურებია ჩვენთან ხიშტი ბრძოლაში გამოსულიყო და უთავბოლოდ გაეშვა უკან. იქ შეცვნილი ჩვენი ჯარისკაცები დაერივნენ გარნიზონს და თითქმის ყველანი ჩაზოცეს. ტყვედ წამოვიყვანეთ 2 აფიცერი და 210 ჯარისკაცი.

თბილისი, 11 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური განცხადება. 10 ივნისის განმელობაში მდინ. ვინდავასა, ვინტასა და დუბისაზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ნარევის და ვისლის პირზე მხოლოდ მოწინავე რაზმთა უმნიშვნელო შეჯახება იყო. ტანევის პირზეც მშვიდობიანობაა. ყოლკეისა და ლვოვის მიმართულდებოთ 9 ივნ. და შემდეგ დღეს გერმანელები სცილობდნენ იერიშები განეცობით. განსაკუთრებით ჩიფუკუვისა და დამიტოვიციის მიმართულდებოთ სცილობდნენ გაშლილიყვენ ლვოვ-ბერეჟანის რკინის გზას გაჰყვანენ და ლვოვიდან ჩიფუკუვამდე, 15 ვერსის მანძილზე, ავიდნენ. ბერეჟანი მდებარეობს ლვოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით 80 ვერსის მანძილზე, და ნიჟნიოვის (დნესტრზე, სადაც ავტო ორი კვირა იქნება მეტად ცხარე ბრძოლა ხდებოდა) ჩრდილოეთით 50 ვერსის მანძილზე.

ლონდონი, 10 ივნისი. გემი „ბელ-გრადი“ ააფეთქეს პეშბოკშირის ნაპირების მახლობლად. ასევე დაიღუპა მეორე გემი „ტუმბიანა“ პეფილის კონტინანს. 33 მესულერი გადასხეს ლოუსტაფში. ეს გემი ლონდონის საზოგადოებას ეკუთვნოდა და მანრალიდან გულში მიემგზავრებოდა.

თბილისი, 11 ივნისი. ხელმწიფე იმპერატორმა ღირსად გახადა საგუბერნიო ერობათა მთავარი რწმუნებული თავადი ცოლოვი, რომელმაც მეფისაგან შემდეგი სასახუბო დეკრეტი მიიღო. „გულთად მადლობას ვწირავ საგუბერნიო ერობათა რწმუნებულებს ქეშმარიტ რუსულ გრძნობის და ჩემი აღმართოვანებელ სიტყვის გამოცხადებისთვის. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენის ძლიერ სამშობლოს დაუშრეტელ ძალთა ერთად თავის მოყრით სამუდამოდ შემუსვრილ იქნება თავხედ და ძლიერ მტრის მედგრობა. არც მეუქვება, რომ რუსეთის ყველა ერობათაგან შემოთავაზებული ძლიერება მთავრობისადმი პატრიოტულ აღფრთოვანებასთან ერთად შეზავებული გაადვილებს ჯარის შეიარაღებას და გააძლიერებს დარსულ ჯარს, უზრუნველ ჰყოფს ჩვენის ძლევაშილის, დაუმარცხებელის და მრავალსაუკუნო მართლმადიდებელ რუსეთის მტერზე გამარჯვებას.“

ლონდონი, 10 თბათვე. ოფიციალური ცნობა. ჩრდილოეთ ზღვაში კვირას დიდი ბრიტანიის გემი „როკობური“ ნაღმს წააწყდა. ზიანი შეუმჩნეველია. ზარალი არ არის. ტურაობა თვითვე განაგრძო.

რომში. 10 ივნისი. ოფიციალური ცნობა. მთელს ფრონტზე გაძლიერდა საარტილერიო ღუელი, განსაკუთრებით დიდი და საშუალო ზომის ზარბაზნებისა. მტერი შეეცადა ღამის იერიშებით მოეტანა მონტეპიანოსა, პალგარდესა, პალპიკოლოს და კრესტავერდში (პიკოკოლინსა და ცელანკოფელეს შუა). გუშინ კრესტავერდზე ჩვენმა ჯარმა დაიკავა. განსაკუთრებით გაცხოველებული იერიშები მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე ფრეიკოპედთან, სადაც ღამის განმელობაში და დღისით 10 ივნისს სამი იერიში მოვიგერიეთ, არა მარტო მარჯვე საარტილერიო ცეცხლის საშუალებით, არამედ ხელით სასროლი ყუმბარებითაც. მტერმა ბრძოლის ველზე 200 გვამი დასტოვა. მიღებული ცნობებით პლეკოს ყურეში დიდი ზომის ზარბაზნებს სდგამენ. მახლობელს სიმალეებზე ბარგები დიდიან პლეკოდან მდინარე იზონკოს გასწვრივ მონტენეროს რაიონში და იზონკოს გასწვრივ 9 ივნისის დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

სტოპოლიში. 10 ივნისი. ვენიდან ოფიციალურად იუწყებიან: ავსტრო-უნგრეთის საფინანსო უწყებამ ხელშეკრულება დასდო გერმანიის საბანკო კონსორციუმთან 305 მილიონი კრონის სესხის შესახებ. ამ ფულით ავსტრიელები ფიქრობენ გადაიხადონ უცხოეთში შეკვეთილი სამხედრო მასალის ფასი.

ლონდონი, 10 ივნისი. სინგაპურში იუწყებიან, რომ საკოლონო საქონანდებლო საბუ-ში შოტლანდის ნონ-პროტექტი, რომლის ძალითაც ყველა ინგლისელი მოვალე იქნება სამხედრო ბეგარა მოიხადოს 18 წლიდან 55 წლამდე მოხალისედ, ან და სამოქალაქო გვარდიაში სამსახურით.

სტოპოლიში, 10 ივნისი. ვენიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ ავსტრო-უნგრეთის ქვეშევრდომნი, დაბადებულნი 1878—1890 წლებში და აგრეთვე 1892—1894 წლებში და ყველა ლანდშტურმისტები, დაბადებულნი 1873—1896 წლებში ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ხელმეორედ შესამოწმებლად 17 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე. გამოსადეგად აღსარებული ლანდშტურმისტები ჯარში უნდა გამოცხადდნენ.

ბუშარმში, 10 ივნისი. კონსტანტინოპოლის მიმავალმა ოსმალეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ქალილ-ბეიმ, ოომელსაც მრავალი წლობით უცხოვრია ჯავიდ-ბეისთან ერთად ბერლინში, გუშინ ბუქარესტზე გაიარა. ბუქარესტში ყოფნის დროს იგი დიდ ხანს ესაუბრა კომინის პირველ-მინისტრს ბრატანის.

გავსწორეთ სახაზინო მთებში!

ქარ. საქველ-მოქ. საზოგადოება თვისი ნივთიერი მდგომარეობის გასაძლიერებლად სამხატვრო-სამუსიკო საღამოს მართავს

დასაწყისი 8 1/2 საათში.

ვითანაწირობებით მტრის ძალას, არამედ საგრძობელად აღვებრუნებოთ ქვეყნის, რაიც ასე რიგად საჭიროა საბოლოო გასამარჯვებლად. გერმანელმა წინასწარვე განსწავლეს, რომ ომი საბოლოოდ ხანგრძლივად საბოლოო ომად გარდაიქცეოდა. ამიტომ სტილიზირებულ აუთორიტეტულ საზოგადოებას უნდა ავტომატურად წინააღმდეგობა უწიოდ უზრუნველ ვყოფიყვნეთ, უნდა ყველა სპირტუელად დაწინაურდეთა ორიგინალი ვიყავით. როდესაც ამას მოვხატებთ, მარტო ერთი საფრანგეთისა და ინგლისის წინაშე იმპარატორ ტევტონთა ძლიერების შესამუსტრირებლად... საბოლოოდ ლლივი-ჯარჯია დისქინა, რომ დღეს ინგლისში ყველა ერთსულოვნად გმოქმედებენ, მუშებიც თანხმობას ვანაცხადებენ ყოველსფერო მდგომარეობას, რათა შეერთებულის ძალით დავაზოთ მტერი.

ლოდონი, 11 ივნისი. დახვედრის გერმანულ ჯაშუში მიუღწერი.

სტოპლონი, 10 ივნისი. ბურჟუიდან ნიუკასლში მიმავალი ნორვეგიელთა გემი „ვენურდ“ გერმანელთა წყალქვეშაში შეიპყრო და უფროსმა ზღვაში გადააყრევინებინა თევზი და მრავალი ცრბი.

ლოდონი, 10 ივნისი. ხორბლით დატვირთული ინგლისის გემი „კოროლი“ მორიგედ დანახულს მიმეგზავნებოდა. შუა გზაზე იგი დაღუპულ იქნა გერმანელთა წყალქვეშას მიერ.

პარიზი, 10 თბათვე. საღამოს ოფიციალური ცნობა.

გუმინ ვალიპოლისის კუნძულზე მოკავშირეთა ჯარმა ოსმალთა ჯარს უკან დახევეს. ჩვენი იერიში ზარბაზნების სროლით მოგვახადეთ. ჩვენმა მარცხენა წვერმა იერიშის შემდეგ ხელთ ივლი მოწინააღმდეგის თხრილების ორი ხაზი მიუხედავად იმისა, რომ ცხარეხელი იერიშები მოქმედებდა. მარჯვენა წვერს, სადაც ადგილის მიღება არც მოქმედებს აძენილეს, ბრძოლაში ერთი დღე გასტანა. ოსმალებმა ახალი ჯარის მარცხენა დასუფლებული თხრილი უკანვე დაიხრეს, მაგრამ უცხო ქვეყნის ლეგიონმა კვლავ თხრილები უკანვე წაართვა. ათის წუთის განმავლობაში ამ იერიშმა გადასწვრილა ბრძოლის ბედი და სამუდამოდ მოუსპო ოსმალი ყოველგვარი ცდა თხრილის უკან დაბრუნებისა, როდესაც ოსმალებს ჩვენი ჯარის მარჯვენა წვერზე იერიში მოქმედებდა, უშედეგოდ ჩაუბრუნდა და მოწინააღმდეგე განადგურებულ იქნა.

საერთო ამ დღის ბრძოლა კარგად დასრულდა.

მიუხედავად ცხარეხული ბრძოლისა, ტყვედ ათი აფიცერი წაიყვანეთ. ჯავშნოსანი გემი „სენ-ლუი“ მობრუნებულად ესროდა ყუმბარებს აზიის ნაპირებზე მყოფ ბატარეის. ჩვენი ჯარის მარცხენა წვერს ბრძოლის ჯარმა თვალსაჩინო დახმარება აღმოუჩინა. მოწინააღმდეგის ზარალი დიდია. ოსმალები თავგამოდებით რამდენსამე თვეს იცავდნენ კერვეს-დერეს შესავალი და ყოველ ღამეს ხმარობდნენ, რათა ხელოდან არ გამოსცხობოდნენ, მაგრამ ჩვენმა ჯარმა იგი ადგილი დაიჭირა.

შუკრალ-გახთივიდან

ბრძოლის ველიდან.

....რუსისა და გერმანელ ჯარის პოზიციათა შორის ტრიბლი მინდორი სძევს. როგორც ხელის გულზე, ყველაფერი სჩანს. ხანდახან ჯარი ერთმანეთს ჰხედავს, დამთ ილექტორანის სხივებით ანათებენ. გადადის და გადმოდის მუშუბნები, რომ მისი განათებით მტრის მდგომარეობა გაიგონ, რათა შემდეგ აწვიონ ზარბაზნის ყუმბარები. ერთხელ რუსის ჯარის ბატარეის უკან ორი ჯარის კაცი მოდიოდა. უცხად მიწა ჩაიჭრა და ერთი მთავანი შივ ჩავარდა, ყვიროდა: მიშველეთ, აქ გერმანელების თხრილები ყოფილა. ნახეს მართლა და, იქ, სადაც ჩვენ ვმოქმედებდით, მიწის ქვეშ გერმანელები ყოფილიყვნენ და ტელეფონით აცნობდნენ თავისიანებს, თუ რა მიმართულებას იღებდა რუსის ჯარი. ერთხელაც გზაზე ყანის პირად ერთი ხანში შესული დედაბერი შემოგვხვდა. თავზე თავზე წითელი სილახანი ეკრა. ეჭვი შეგვეპარა. გავეხრით კეთ ქალის ტანი-სამოსი და ჩვენ წინ გამოჩნდა გადაცემული ავსტრიალი სალდათი. (რ. ს.)

გერმანელი ქალები ომში.

ვალკიაში უკანასკნელ ბრძოლის დროს შექმნიეს, რომ მამაკაცებთან ერთად ხშირად ქალებიც იბრძვიან. დაბოცვითა შორის ბრძოლის ველზე ქალები ნახეს. მარტო ერთ ავღღაგში 40 კაცთან 9 ქალი დამარხეს. (ბ. ვ.)

გერმანელთა იმედები.

მოკავშირეთა ყურადღება მიპყრობილია ბელგეებზე, რათა პატარა სახელმწიფოთა თავეთან მხარეზე გადახმარონ. გერმანიაც თავის სტილიზირებულ სახელმწიფოთა სანდოების ხელში ეჭიროს. იგი დიდად იმედოვნებს რუმინის მომხრობას. „V assische Zeitung“-ი იუწყება, რომ რუმინის მთავრობის გამგე ბრატანუ გრძობის ადამიანი კი არა, არამედ რეალურ პოლიტიკის ადამიანიაო. ცხადია, იგი უმთავრესად იმისკენ გადახრის სასწორს, საითაც უფრო მეტს სარგებლობას გამოელოს. თუ აღმოსავლეთის ასპარეზზე მოკავშირეებს კარგად მისდით საქმე შემკეულია, მათ მიემხრობიან და წინააღმდეგ, თუ ჩვენ, მაშინ იგი ჩვენი მოკავშირენი გახდებიანო. გერმანიის იმედები რუმინაზე, მაშასადამე, მის ხმლის წვერზევე კვიდია, რამდენად გამარჯვებული იქნება ხსენებულ ასპარეზზე. (ბ. ვ.)

გერმანელთა თხრილები.

ინგლისელთა ცნობით გერმანელთა თხრილები მეტის მეტად მკვიდრ ნიადაგზე ყოფილა აგებული. თავზე გადადარებული ჰქონიათ სქელი ბეტონი, რაიც თხრილებს ყუმბარებისაგან და შარანლისაგან იტარავდა. თხრილებში გაყვანილი ჰქონიათ ელექტრონი და ტელეფონი. (დ.)

აფეთქება კაზინოში მეფის ფერდინანდის მოსაკვლედა.

ბულგარელთა გაზეთებში გამოქვეყნებული საბრალდებელი ოქმის ტექსტი, იმ ანარქისტებზე, რომელთაც სოფიაში ყუმბარა აფეთქეს კაზინოში მეფის იქ ყოფნის დროს. საბრალდებელი ოქმი სტილიზირებულია და მოხდა ანასტასიუსის პროვოკაციის გამო, რათა გენადივიისთვის გზა გაეკავებინა უმადლეს მთავრობის ხელში ჩასაგდებად. ამ საქმის ტრაგიკში უფრო ის არის, რომ ამ ფეთქებელნი ამ პროვოკაციის მსხვერპლად არ აღიარებენ თავს. ისინი აცხადებენ, რომ ჩვენ მტკიცედ გვეჩინდა გარდასწვრილი მეფის ავტომობილს ქვეშ ჩავევარდნოდათ ასაფეთქებელი მასალით, დაე, ჩვენც დავლუქულიყავით, ოღონდაც იგი მოგვესპოო. საბრალდებელი ოქმის მიხედვით ყველას სიკვდილით დასჯა ელისო (ბ. ვ.)

ავსტრიალები იტალიის საზღვარზე.

ბერლიდან იუწყებიან, რომ ავსტრიალებმა იტალიის საზღვარზე 500,000 კაცს მოუყარეს თავი. (დ.)

ვილჰელმის მილოცვა.

პერიმოლის დაბრუნება და ავსტრიის ჯართა მთავარ-სარდლის ერცჰერცოგ ფრიდრიხის დაბადების დღე სწორედ ერთ დღე მოხდა. როგორც „Daili Telegraph“-ი იუწყება ვილჰელმი ავსტრიის მთავარ სადგომში გაჩენილა და ერცჰერცოგისათვის ჩვეულებრივი აღურთვანებული და მაღალი კილოთი მიულოცინა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებისა. (ბ. ვ.)

რუმინელი ებრაელები.

რუმინიდან იუწყებიან, რომ ბრატანის განკარგულებით 7 ოქტომბერს 24 საათის განმავლობაში გადასახლებილი რუმინელი ებრაელები. გადასახლებულებს სახლ-კარი და ქონება უპატრონოდ მიუტოვებიათ. დღე და ღამ განდევნილითა დაუსრულებელი ქარავანი ახალ ქარავანს მისდევს. ამავე დროს განაპირა ადგილებში დასტოვეს ავსტრო-გერმანელთა ქვეშევრდომი. რუმინის სატახტო ქალაქი გერმანელთა ავსტრიათა გაიგონ. (დ.)

შვეიცრის მდგომარეობა.

გაზეთები გადმოგვცემენ საზოგადოებრივი ანგარიშს. შვეიცრის გაზეთი „სტ. დაბელად“ შეწინაშავს, რომ რამდენადაც რუსეთის კილო მეგობრულ განწყობილებას გვირგვინებდა, იმდენად კეთილს განწყობილებას შეხვდებით ჩვენი მხრიდანო. მესამე, დასქმნილი გაზეთი, შვეიცრის ხალხი ამ ყამად რაოდენადმე უნდობლად უყურებს რუსეთს. ამის მიზეზები, თქმა არ უნდა მინისტრი საზოგადოებას უნდა მოეხსენებოდესო. შემდეგ გაზეთი მოიხსენებს ფონლიანდის მსწავლი, ალანდიის კუნძულებს, რუსთა მისწრაფებას, რომ ოკეანეში ჩრდილო-აღმოსავლეთით გაიფინდენ. საქითხევი ყველას ღრმად აქვს ჩაბეჭდილი. ხალხი, რომელსაც მტკიცებდა აქვს გარდაცვალებული თავის დამოუკიდებლობა დაი-

ცვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, თავისუფლად ვერ იგრძნობს თავს თუნდა ისეთი ტყველი გამოხმარებოდა, როგორც ეს საზოგადოება მოახერხა. ჩვენ ჩვენი საკუთარი აზრი და მისწრაფება გვაქვს. მაგრამ გერმანებით მიანიც ვედებებით მეზობლებთან მშვიდობიანად ვიცხოვროთ, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოა. (დ.)

„კაინის ბოლი“.

რუსები მზროლაგ ყუმბარებს ახლა „კაინის ბოლი“ უწოდებენ.

ოსმალთა ჯარების განაწილება.

ბულგართა გაზეთი „მირი“ იუწყება, რომ ოსმალებმა სტამბოლიდან ჯარები ანაირად განაწილეს: ნაწილი გაგზავნეს ბოსფორში ნიზიმ-ფაშის არმიის გასამარჯვებლად. რომელიც შვი ზღვის ნაპირებს იცავს. მეორე ნაწილი ადრიატიკულ ზღვაში გაგზავნა, ხოლო უდიდესი ნაწილი მიშველეს დარდაუნეს. ადრიატიკულში 50 ათასი რედიფია, რომელიც სრულს ორ კორპუსს შეადგენენ, და 10 ათასი ნიზიმი. ეს ჯარები ნიზიმ-ფაშის უფროსობის ქვეშ არის. შვი ზღვის ნაპირების დასაცველად 70 ათასი რედიფია. დარდაუნელში 300,000 კაცი ღრმად ფონ-სანდერის უფროსობის ქვეშ იმყოფება. მას ეხმარება არტილერიის გენერალი გუნტე. სტამბოლის დასაცველად მხოლოდ 5 ათასი კაცი დარჩენილა. (დ.)

კრუპის ქარხანაში მუშაობა.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ კრუპის ქარხანაში ამ ყამად გაცხარებული მუშაობაა. წინა დღე მუშებს სამჯერ სცვილიდნენ, ესლა ორჯელ ძლივს და სცვილიან. უსვენება ჰხდებოდა მხოლოდ 11 1/2 საათს მუშაობის შემდეგ. (დ.)

ინგლისის პოლიტიკურ წრეებში ბევრს მსჯელობენ ასკიციის საქმის გართულებაზე. ეს უნიონისტები, რომელნიც კაბინეთში მოიკვეთ, ნამეტნავად „ყოფილ მემობიუსი“ მეთაურის უნიონისტ ულსტერ კალსინთან ერთად მოსთხოვენ ასკიციტს, რომ ირლანდიის ლორდ-კანცლერის თანამდებობაზე უნიონისტ კემბელი დაინშნოს. ხოლო ირლანდიელი ავტონომისტები განაცხადებენ, რომ ირლანდიის სასამართლო ადვილზე ასეთის ადვინის დანიშვნა ყოველად შეუძლებელია, რადგან მისი დანიშვნით ირლანდიელ პარტიისთვის შეუძლებელი იქნება კაბინეტის მხარის დაჯერება. მდგომარეობა რთულდება, რადგან არც ერთი მხარე ერთმანეთს არ უთმობენ. უნიონისტები აცხადებენ, რომ კალსინი კაბინეტშიდან გავლად, უქმეთ კემბელი კანდიდატურა არ გავიდაო.

გერმანელების შიში.

„რუსის ინვლადის“ სიტყვით, თავიდანვე საზღვარგარეთის პრესაში აღნიშნავენ, რომ რუსეთის უკან დახევად უნიონილიდან და შემდეგ სანისა და პერიმოლიდან მეტს საფრთხეს ვეძინალებსო. რუსეთის შეუძლიანთ ვარაუდაც თავი დანებდნენ, ისოვეც-ბრესტ-ლიტოვსკიდან უკან დაიხიონ. გერმანელებს ეფინიანთ, რომ ფართო ომის ასპარეზზე არ გაებან და იქ არ დაიხნენ. „ტ. ლ.“

ინგლისელითა ნავები.

მარბარიოს ზღვაში ინგლისელთა ხუთი ნავი დასტურაეს. „ტ. ლ.“

ომი ესლა იწყება.

სატახტო გაზეთები მეტად გულდამსხვებებით განმარტავენ ლვოვის დატოვებას. ყველას ფიქრით, ომი მხოლოდ ესლა იწყებოა.

ყუმბარები რადიოში.

ვარაუდაც იუწყებიან, რომ გერმანელთა პერიმოლიდან ქ. რადიოში ყუმბარები ჩამოყარესო. მოკლული და დაჭრილი რამდენიმე სულია. პულტუსკაზე პერიმოლიდან რამდენიმე ყუმბარა და 1,000 ისარი ჩამოუყარათ.

რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი?

II

წინა წერილიდან*) დავინახეთ, რომ წინადასახელებულად იკი სახითაო, ვითომდა „სეპარატიული“ და რევოლუციონური“ საქითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ 11 აგვისტოს 1906 წ. აქტიურ შემდეგ იმპერატორმა უშაძლებლად აღიარა საკანონმდებლო გზით მოსმენის და გასინჯვის ღირსად და მისი სრული კანონიერება დადასტურა ბრძანებით, რომ იგი გამოეცხადოს ეპისკოპოსებს იმერეთისას, გურია-სამეგრელოსისას, გორისა და ალავერდი-

სას, რომ „საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაზრდაცა განსახილველად სრულიად რუსეთის მომავალ კრებას“.

ცხადი იყო, რომ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევა არც ისეთი ადვილი და სახელდახელი საქმე იყო, რომ ივერიის ეკლესიის თავისუფლების ბედ-იბლალი მალე გადაწყდარიყო. პირიქით, უფრო საფიქრებელი იყო, რომ უწინდესი სინოდი იმ აურ-ზაურის შესახებ, რომელიც ხელოვნურად შექმნა ამ საქითხის გარეშე მოსტროგოგ-ბუტკევიჩ-ტრელინის პარტიამ წინასწარ კრებულად, მხოლოდ ფორმალურად შეეცებოდა საქმეს და დიდის ხნით დამყოფი იქნებოდა იმით, რომ 11 აგვისტოდან უშაძლებელი ბრძანება 22 აგვისტოს 9111 №-ით გამოაქვეყნა და მით თავისი მოვალეობა მოახდა.

მაგრამ მხოლოდინის წინააღმდეგ უშაძლებელი სასულიერო მთავრობა მეტის ყურადღებით მოეკცა საქითხს და დაუყოვნებლივ, მეორე დღესვე, შესანიშნავი დეკლარაცია გამოსცა. ეს იყო უწინდესი სინოდის უქაზი 1906 წლის 23 აგვისტოს № 9147, რომელიც აქვე მოგვაცხადისასინოლო კანტორის თარგმანით.

„ბრძანება მისი იმპერატორის მიერ დავალდებულების, სასულიერო კრების თვითმასპინძლისა, უწინდესი დამხრებულს სინოდის, სინოდის წევრს, საქართველოს ეპისკოპოსს, ყოველად-უსამღვდელოეს ნიკონს, არქიპისკოპოსს ქართლისას და კახეთისას. 23 აგვისტო 1906 წლისა, № 9147-თა.“

ბრძანებისა კრ მისის იმპერატორებზე უდიდებულესობისა, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისა, უწინდესს და უპარტებულესს სინოდსა ჰქონდა მსჯელობა საქართველოს საეპისკოპოსოს ეკლესიურ საქმეთა მოწესრიგების სპირითის შესახებ. ბრძანება: უწინდესსა სინოდსა, გადაწყვეტილებისაგებ 18 იანვრიდან 1906 წლისა, № 259-თა, შეადგინა განსაკუთრებული სათაბირო, რომ განცხადდა საკითხი საქართველოს საეპისკოპოსოს ეკლესიურ საქმეთა მოწესრიგებისა. სათაბიროში მონაწილეობდნენ თავმჯდომარედ მიტროპოლიტი მოსკოვისა ვლადიმერ, მიტროპოლიტი კიევისა ფლამანე, რომელიც ექსარხოსობედნ კავკასიაში, საქართველოს ექსარხოსად ყოფილი, აწ არქიეპისკოპოსი ვლადიმირისა ნიკოლოზი და ქართველი-ეპისკოპოსები: ორლოვისა, აწ კი სუხუმისა, კირიონი და იმერეთისა - ლეონილი. ამ სათაბირომ გადასწვრიტა, ახლავდ ილონოს ზოგიერთი საშუალებანი ეკლესიურ მართვა-გამგეობისა და საეპისკოპოსოს საეკლესიო და სასულიერო სკოლების კეთილმოწყობის განსახორციელებლად. უწინდესსა სინოდსა, განიხილა რა საკანი საქართველოს საეკლესიო საქმეთა მოწესრიგებისა და ნაშრომი აღნიშნულის კომისისა, მიიღო მხედველობაში შემდეგი: ა) საეპისკოპოსოს ეპარქიების არქივებს არა აქვთ სრული საეპისკოპოსო უფლებანი. ცალკე ეპარქიის ეპისკოპოსები, თუმცა თვითმოქმედ ეპისკოპოსის სახელი აქვთ და არა ქართველ-ეპისკოპოსებისა (იმერეთისა, გურია-სამეგრელოსი და სუხუმისა), მქმედებარებიან სასინოლო კანტორას არქივრის იმ ფარგალში, რომელიც სრულიად იმთ ეკუთნით. იმათთან სრულიად არ არსებობს აღმასრულებელი დაწესებულებანი (კონსისტორია საშუალებით შექმნილებოდათ იმათ განხორციელებინათ ის უფლებანი, რომელიც არქივებს შინიკებულო აქვთ საეკლესიო კანონებით და აწ მოქმედ დებულებებითა. იმათ აქვთ უფლება მხოლოდ მღვდლად ხელდასხვისა, დანიშვნისა, გადაყვანა-გადაწყვანისა, დათხოვნისა და დროებით მღვდელმოქმედების აღკრძალვისა. ყველა დანარჩენი საქმეები - სამსახული, განსაკორწინებელი, მეტროპოლიტი აღმოწერილობანი და სხვ. შემოკრებული საქართველოს სასინო-

ლო კანტორას; ბ) საეპისკოპოსოს ზოგიერთ სკოლებში საგნების სწავლებას ექსპროვანა გულმოდგინე ვადანინჯვა, რადგან იმ სკოლებში საკმაოდ არ აქვს მიპყრობილი ყურადღება სამშობლო ენას პირველდაწყებით სწავლის დროს. გ) სასულიერო-სამოსწავლო სასწავლებლებში საკმაოდ ადვილი არა აქვს დათმობილი ქართულ-საეკლესიო ენა და საზოგადოდ ადგილობრივ ენებსა, რასაც არა იშვიათად ის შედეგი მოსდევს, რომ მოუშუადებელნი გამოდიან სამოძვრო სამსახურისათვის. ამის გამო უწინდესსა სინოდს სცნო რა საჭიროდ მიიღოს ზოგიერთი საშუალებანი საეკლესიო საქმეებისა და სასულიერო სკოლებს კეთილ მოსწყობად საქართველოს ეპისკოპოსოსში, დადაგინა: 1) საეპისკოპოსოს ეპარქიულ მღვდელთა ვართა უფლების გასაფართოებლად ახლავდ გადაკეთდეს იმერეთისა, გურია-სამეგრელოსი და სუხუმის ეპარქიები თავისუფლად, თვითმოქმედ ეპარქიებდ. საექსარხოსოს ყველა თვითმოქმედ ეპისკოპოსებთან დაფუნდებული სასულიერო კონსისტორიების თანაბრად და მიხედვით, საპარქიო სამმართველოები, შემდგომი სამის წევრისაგან, რომელთა ირიწვენ სასულიერო პირთაგან ადგილობრივი მღვდელთაგანნი და ამტი ებს საქართველოს ექსარხოსის სამმართველოების კანცელარია შესდგება აწ არსებულ საეპარქიო კანცელარიაგან და რავდნადე კიდევ შეიგება. ყველა საქმეები, რომელთა კი სასულიერო კონსისტორიების წესდების ძალით ექვემდებარება საეპარქიო მთავრობებს, გადაეცეს იმერეთისა, გურია-სამეგრელოსსა და სუხუმის საეპარქიო გამგეობებს დ მიენდოს კანტორას ახლავდ იხრუნოს, რომ დაუთავებელი საქმეები თან-და-თანობით გადასცეს ჯეროვან სამმართველოებს. საქართველოს სასინოლო კანტორა გადააკეთდეს იმგვარად, რომ ჰყავდეს სამი მუდმივი წევრი, რომელნიც ექსარხოსთან ერთად აღსარულებენ იმ საქმეებსა, რომელიც სასულიერო კონსისტორიის სამსახურს ეკუთვნის. იმაშივე წევრებად იოვლებიან ყველა ეპისკოპოსები საექსარხოსოსი ექსარხოსის თავმჯდომარეობით და განაკებენ მთლად საექსარხოსოს საეკლესიო წეს-წყობილების საქმეებსა. ეს წევრნი კანტორისა მოწვეულ იქნებიან ექსარხოსის მიერ, საქართველოსადგვარად, ორჯელ ან სამჯერ წელიწადში. კანტორა აღნიშნულს წევრებით განაგებს შედეგ საქმეებსა: ა) განხილვა იმ საზოგადო ზარები-სა, რომელიც ხელ შეუწყობს მართლმადიდებლობის დაცვასა და გავრცელებას კავკასიაში, მწყემსთა და სმწყსოების ზნეობა-სარწმუნოების ახლებსა და ამაგარ საქმეის გარჩევა; განსაკუთრებითად ყურადღების ღირსი საქმეები-კი ამ დარგისა მოხსენდება უწინდესს სინოდს. ბ) საჩივრები როგორც სასულიერო, ის საერო პირთა მღვდელთაგანთა ადმინისტრაციულ განკარგულების შესახებ. გ) საჩივრები სასულიერ პირთა ადმინისტრაციულ სასჯელ შესახებ, რომელსაც ეპარქიულ მღვდელთაგანნი დაადებენ მათ. დ) საჩივრები სამღვდელოებისა საეპარქიო არქივების სამსახული გარდაცვალებათა შესახებ, გარდა იმისა, რომლის გადაწყვეტა სინოდის უფლებას შეადგენს. ე) განაწილება ეპარქიებს შორის იმ ფულებისა, რა

მელიც ეძღვნა საზინებიდან და სინოლის საშუალებებიდან. ყველა იმ საქმეებს, რომლის გადაწყვეტა შეადგენს სინოლის უფლებას, ეპარქიის ეპისკოპოსები გზავნიან უწინდეს სინოდში საქართველოს ეპისკოპოსის საშუალებითა. 2) მიენდოს სამეურნეო განვითარებას (ხიზიანობის უზრუნველყოფის) განხილვის სასინოდო კანტორის და საეპისკოპოსო კანცელარიის ზოგადი თანამდებობათა შემოკლება, შეივსოს საეპისკოპოსო სამართლებრივი კანცელარიები და გამოიხატოს წყარო დასაფარავად იმ ხარჯებისა, რომელიც მოუნდება ამ საეკლესიო წესწყობილების გადაკეთების საქმესა, რისთვისაც გადაეცეს გამგებან ამისი აღწერილობა. 3) მიენდოს სამსწავლებლო საბჭოს საქმეებს დაამთავროს საქმე საეპისკოპოსოს საეკლესიო სკოლების მოწყობისა. 4) გაძლიერდეს საეპისკოპოსოს სასულიერო სასწავლებლებში სწავლება ქართულ-საეკლესიო სამღვდელ-მოქმედო ენისა და ადგილობრივ საეკლესიო ვალოზისა, სლავიანურ საეკლესიო ენის ნაცვლად; მიღებულ იქნას ზრუნვა, რომ მოსწავლენი გაეარჯიშნენ ქადაგებში ადგილობრივ ენებზე და შეისწავლონ წესრიგი წირვა-ლოცვის შესრულებისა ადგილობრივ ენებზე, რათა ამგვარად სკოლაში განათლებულ მიღებულ საეკლესიო მოძღვრებსა შეეძლოთ სისწრაფის და მოწოდებით შესრულონ მღვდელ-მოქმედება და წესები ადგილობრივ ენებზე და წარმოსთქვან სამწყსოსთვის სრულიად გასაგები თავიანთს სამშობლო ენაზე ქადაგებანი. 5) შესდგეს ადგილობრივ კომისია დაბადების ვადასათარგმნად ადგილობრივ ენებზე და გამოსცემად, საჭირო რიცხვისა, საეკლესიო წიგნებისა და საეკლესიო საგალობელთა კრებულები (ს. 6) მიენდოს სინოდის ობერპროკურორს, კავკასიის ნამეტანიკოან წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ, შეიტანოს წარდგინება საქართველოს საეპისკოპოსოს საეკლესიო

სიო წესწყობილების შეცვლის შესახებ, ზოგიერთა თანამდებობის გაუქმებით და ახლების დაფუძნებით, საქმის დაუხანებლობისა გამო, და თანახმად 87 მუხ. სახელმწიფოს ძირითად კანონებისა, მინისტრთა საბჭოში განსახილველად, და 7) მიენდოს თქვენს ყოვლადუსამღვდელოეს სიბას მეოთხე და მეხუთე მუხლების შეჩებ წარუდგინოთ სინოდს თქვენი მოსაზრებანი, როდესაც ადგილობრივ ვაეცნობით საეპისკოპოსოს საქმიანობათა; რაზედაც ვაგვზავნოს თქვენს ყოვლადუსამღვდელოესობას ბრძანება.“

რა მშენიერი სიტყვები და სამართლიანი აზრებია!

როგორც ჰქნადავთ, სასულიერო მთავრობა არ ხუმრობდა. ის არაჩვეულებრივ სისწრაფით შეუდგა საქმეს და აშკარად ჩვენზე, ქართველებს, სამართლიანად გვისაყვედურებდა, რადა ხართ ასეთი დაუდევარი და ხელმძიმენი, რომ ამოდენა ხანს ესა და ეს თქვენი საკუთარი, ეროვნული და მარტივი საქმენი არ გავიქმეტიათო.

ეს უქაზი განხილვებულმა ეპისკოპოსმა ნიკონმა დაუფინანსებლად გადასცა სინოდს კანტორის. კანტორამაც მოისმინა, გადათარგმნა, უხვად გაავრცელა ქართველ საზოგადოებაში და, ამბობენ, ზოგიერთი ზომებიც მიიღო.

მაგრამ... ამ შემთხვევაშიც მოხდა ის, რაც არა ერთხელ და ორჯერ მომხდარა ჩვენს, ქართველურ, ჩვეულებრივ დაუდევრობისა გამო. გვესიამოვნა, ერთმანეთს მიველოცეთ, პლატონიურ გრძნობებით დავტკბით,—მორჩა და გათავდა. ვისაც შეგვეძლო და ფორმალურადაც შეგვეხებოდა ეს საქმე, თითქმის არ ვაგინძრევი, რომ ცოტათი მაინც ხელი შეგვეწყო წაღმა მოტრიალებულ ჩარხის ჯეროვანად ტრიალისათვის. ველოდით და მოველით, რომ ვიღაცა სხვა, მესამე პირი ჩვენდა დამოუკიდებლად გააკეთებს იმას, რის გაკეთების ნება მთავრობამ უნდა გაკეთებულიყო, რადგანაც არც გახუთებში დაწერილა, არც კერძო ხმა გამოსულა, ვითომ მთავრობას უკან წაეღოს თავისი დაპირება“. ვიცით მხოლოდ, რომ სასინოდო კანტორამ და დაიწყო მუშაობა.

ლოდ, რომ სასინოდო კანტორამ თავისი საქმეების ნაწილი დაუფინანსებლად გაგზავნა ფოთში და ქუთაისში, რომ იქ საკუთარი კონსისტორიები გაეხსნათ, მაგრამ იქ... შესაფერისი შენობაც ვერ იშოვნა ქალაქის თვითმართებლობა!

და როცა კითხვობ ამ უქაზს, დღეს საზოგადოებად კი იშვიათს, გული გიკვდება, რომ იგი ცოცხლივ არსებობდა, ჩვენს ხელთ იყო და დღეს მხოლოდ კანცელარიების არქივის საკუთრებაა.

როგორ შეიძლება მისი გამოცოცხლება და რა შეიძლება გაკეთდეს მისი მეოხებით დღევანდელ პირობებში, ამას კიდევ დავუბრუნდებით.

გავსიონოთ სახა-ზინო თიასტრუი.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება თვისი ნივთიერი მდგომარეობის გასაძლიერებლად სახაზინო თეატრში დღეს საზნატერო-სამუსიკო საღამოს მართავს. მოვარდნებით მკითხველებს, რომ ხსენებულმა საზოგადოებამ პირველმა გაუწოდა დახმარების ხელი ჩვენს მოძინე აქტორებს, რომელთა სამოთხისებური სამკვიდრებელი დღეს ომის წყალობით ნაოხარის გულსაკლავ სურათს წარმოადგენს: ქ. საქვ. საზოგადოებამ აქარაში თვისი კაცები გაგზავნა, ახალგაზდა ინტელიგენტები, რომელთაც ფეხდაფეხ მოიარეს მთელი ეს მხარე, მშვიდგება დაუბრუნეს თან წაღებული ორი ვაგონი სიმინდი, პირადად გაეცნეს და განიცადეს მთელი ვაი და უხედურება, რომელიც თავს დასტვინა ბედზე აქარას და დიდძალი ძვირფასი მასალა ჩამოიტანეს მის მდგომარეობის შესახებ. საქართველოს ამგვარი მწვევე ტყივლების დასაშინებლად ქართ. საქველ. საზოგადოებამ კვლავაც განაგრძობს მოქმედებას. მოვალენი ვართ ხელი შეუწყეთ მისი ქონებრივი მდგომარეობის გაძლიერებას. გაეწიეთ დღეს სახაზინო თეატრში, სადაც იგი თვისი სასარგებლოდ საღამოს მართავს ფრიად საინტერესო პროგრამით.

ეს უქაზი უკან არ წაუღია, მას არც 1906 წ. 11 აგვისტოსი და არც სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევის უქაზები გაუშობილებია, მაგრამ... ათი წელიწადი ვადის და მაინც არ იწვევენ იმ კრებას, რომელსაც ვადაეცა ბედი ჩვენის ეკლესიისა.

„საქართველოს“ კვირულ დაბატე-ბაში მოთავსებულ იქნება სურათები: ბრძოლის ველზე, ყუმბარისაგან აფეთქებული თხრილები, თ-დი დ. ჩილო-ყაშვილი, ოხმალთა ბანაკი; კარიკატურები: „ძმურ ნუგეშთან“, მეგობრული შარუები, სანდრო შანშიაშვილის ივერიკო, შოი მღვიმელის ლექსი და სხვა წერილები.

ახალი ამბავი

ინციდენტი. ამ რამდენიმე დღის წინად თბილისის პოლიციისტერმა, ბ-ნმა ზდანოვსკიმ, წერილობითი მოხსენება წარუდგინა თბილისის გუბერნატორს იმის შესახებ, რომ დიდი ნიაღვრების დროს ქალაქის გამგებამ შესაფერისი მოქმედება ვერ გამოიჩინა. გამგებამ ზოგიერთი ადგილი მოხსენებისა გადაქარბებულად მიიჩნია და ამის გამო გუშინ, 12 ივნისს, ბ-ნ გუბერნატორს საჩივარი მიართვა, რომელშიაც ამბობს, რომ პოლიციისტერს ზოგი ისეთი ფრანგები აქვს ნახმარი, რომლებიც ოფიციალურ ქალაქში შეუძლებელია და ამასთანავე პოლიციისტერს კანონი უფლებას არ ანიჭებს კრიტიკულად შეხვოს ქალაქის თვითმართებლობის მოქმედებას. ამისათვის გამგებმა სთხოვს გუბერნატორს დაიფაროს იგი პოლიციისტერი-საგან.

ქ. ვანის გუბერნატორი არაში სთხოვს კავკასიის ქალაქთა კავშირის თავჯდომარეს ა. ი. ხატისოვს, ვაგზავნოს ხსენებულ ქალაქში რამდენიმე ექიმი და ფერწალი, რადგან იქ ათასგვარმა სენმა იჩინა თავი. ბ-ნმა ხატისოვმა გასაგზავნი ექიმების მონახვა მიანდო ლაზარეთების ექიმს შ. მიქელაძეს.

ქართველ საზოგადოებამ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა ჰქონდა 11 ივნისს. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის ჯამი უდრის 24,400 მანეთს. საბჭომ გადასწყვიტა ხარჯთ-აღრიცხვა დაბეჭდოს და განსახილველად გადასცინობად დაუბრუნოს საზოგადოების წევრებს.

სულით ავადმყოფთათვის ახალი საავადმყოფო. ამ ბოლო დროს სულით ავადმყოფთა რიცხვს უმატნია თბილისში. ამის გამო მიხილის საავადმყოფოს აღმშენებელთა კომისიამ გადაწყვიტა თბილისში მეორე განყოფილება გახსნას ასეთი ავადმყოფებისათვის.

ბოიკოტი. ქალაქის განმარტებულ ლაზარეთის უფროსს, ბ-ნ მინასიანს, ბოიკოტი გამოუცხადეს მისმა ხელქვეით

ექიმებმა. ეს ამბავი 11 ივნისს მოხსენდა ქალაქის აღმასრულებელ კომისიის 11 წევრის მიერ. ქალაქის განმარტებულ ბიურო შეადგინოს ლაზარეთში, რომელმაც ლაზარეთის საქმეები უნდა განაგოს.

ქართული წარმოდგენა ქ. გორში. საზოგადო საკრებულოს სახაზინო დარბაზში შაბათს, 13 ივნისს, თბილისის ქართული დრამატული დასის მსახიობთა მიერ ქ-ნ ეფ. მესხის, ტასო აბაშიძის და ბ-ნთ ვ. აბაშიძის, კ. ყიფიანის, ვალ. გუნიას, ს. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა „ლალატი“.

მ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი. ორშაბათს, 15 ივნისს, ქართ. დრამატ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა „ლალატი“. უმთავრეს როლებს აღმასრულებელნი: ეფ. მესხი—ხენინაბი, ვ. გუნია—თათარ-ბეგი, ვასო აბაშიძე—ბესო, კ. ყიფიანი—ანანია, ტასო აბაშიძე—გიანე, ს. სვიმონიძე—დათო და სხვ.

ცეცხლი. გუშინ, დღის 7 ნახევარ საათზე, მიხილის და კირკის ქუჩების ქუთხეში მ. გრიგორიანცების მალაზიაში შეამჩნიეს ცეცხლი, რომელიც ელექტრონს გაეჩინა. ერთმა ახალგაზდა კაცმა მალაზიაში შესვლა მოახერხა და ცეცხლი ჩააქრო. ზარალი ცოტაა, მხოლოდ

ახალი წიგნი. თბილისში მოგვივიდა და ისყიდება პეტროგრადში გამოცემული ცნობილი ნაფიც-ვეტილის დ. ჭიბაროვი-სკაი პოეტა князя Акакия Ростомовича Церетели. წიგნი დაბეჭდილია: ბიოგრაფია მგონისა, ლექსი აბაშიძისა, წერილები გ. რობაქიძისა, ივ. გომართელი-სა, ლ. ყიფიანისა, შ. დ.—ისა, ა. ნიკიტინისა, დ. დალესტანისა; სიტყვები, თქმული მგონისა დასავლეთურ ენისკოლოზის ანტონისა, თავ. კ. აფხაზისა, ალი მარდანი-ბეგ თოფჩიძისა, ა. ხატისოვისა, მარკუსისა და ოციოდე რუსულად ნათარგმნი ლექსი აკაკისა. წიგნი ძალიან კარგ ქალაქშია დაბეჭდილი, სუფთად არის გამოცემული და ღირს სამი აბაზი.

გავსიონოთ სახაზინო თიასტრუი

ქართ. შინა (ზინა) свѣтилъ, блистаетъ.— ასეთი რამეები, ვით „სმახვერი“, „ზინა“, არ იცის არც ქართულმა მწერლობამ და არც ქართულმა ენამ. ამას გარდა, სიტყვები მსახური და სამხარი წარმოსდგებიან სხვა და სხვა ფესვებიდან და არავითარი მონათესაობა არა აქვთ არა თუ სემიტურ შამს-თან, არამედ ერთოთთანაც.

სიტყვაში მსახური ფესვია ხურ, რომელიც ენათესავება ლათინურს cur-a, eur-o, eur-ator და ნიშნავს დარვას, შევლას, ხურვას, მწეობას. იგი წარმოდგარა ისრე, ვით ფორმები მსასოებელი, მსაზოებელი და სხ.

აგრეთვე ყოვლად შეუწყნარებელია სიტყვის სამხარის გაყოფა სამხ-არად მხოლოდ მისთვის, რომ მისი პირველი ნახევარი დაემსგავსოს სემიტურს შამს (შამს=შე). სიტყვა სამხარი არასდროს არ ყოფილა აღნიშნული ცნებისა „солнечный“. იგი მარტოვე გერუნდელია ზმნისა ხრა, დახრა, ვადახრა (შუადღის მზის ვადახრა). საჩვენებლად ქვეყნის მხარეებისა, რომელთაც მიმოვლის მზე დღე-ყოველ, აღებულია ზმნის: აღმოსვლა, ხრა და დასვლა, და მათგან ადგილის მაჩვენებლის ეთის მიმატებით წარმოდგარა სახელები:

აღმოსავლეთი, ადგილი მზის ამოსვლისა
სამხრეთი, ადგილი მზის ვადახრისა, მხარისა
დასავლეთი ანუ ჩასავლეთი, ადგ. მზის დასავლისა.

მეოთხე მხარეს კი რგებია ჩრდილოეთად ყოფნა, რადგან მზის სრბოლის დროს სერვის ერთ ნახევარზე მისი მეორე ნახევარი წარმოდგენს ჩრდილის სარბიელს.

გვ. 3 „ბუქი ბურა იზ მვეკა“.— „მეყი“ არც ყოფილა ქართულში და არც არის. ხოლო ბუქი ბურა კი არ არის, არამედ вьюга, мятель, რუსულს ბურა-ს უდრის ქართული ბორბალი (ინგ. ბორბალი, სვან. ბური). შეად. მარკოზ. 4, 37;

„მეცნიერებრივად“

I
1908 წელს დაბეჭდა წიგნი ნ. მარისა „Основные таблицы къ грамматикѣ древне-груз. языка съ предварительнымъ сообщениемъ о родствѣ грузинскаго языка съ семитическими“.

მანამდე ქართ. ენის მონათესაობის შესახებ სუფევდა სხვა და სხვა აზრი. ლეიბნიცს, ბროსეს, ბოპს და ბუერს სხვას იგი მიაჩნდათ არიულ, ანუ ინდო-ევროპულ ენების მონათესავედ. ცნობილი უსლარი ლადადებდა: შედარებითი ფილოლოგიაში გამოაცხადა, რომ ქართული ენა სემიტურებს არ ეკუთვნისო. მ. მიულერი ქართულ ენას უნათესაებდა თურანულს, სხვები განმარტობულ ივერიულ ჯგუფს აკუთვნებდნენ.

სულ სხვაგვარად მსჯელობს ბ-ნი მარია. მისი აზრით, ქართული ენა სემიტურთა ენების მონათესავედ ყოფილა. როგორც თვით ჩვენი ავქსიანი ამბობს წინასიტყვაობაში, ქართულ-სემიტურ ენათა ნათესაობის შესახებ მას ჯერ კიდევ 80-იან წლებში მოსვლია ეს ორი გენიალური აზრი.

მინდა ვანუზიარო მკითხველს რამდენიმე ცნობა იმ მაგალითების შესახებ, რომელნიც თურმე ამტკიცებენ ჩვენს ნათესაობას სემიტებთან.

გურული ბზე, მეგრ. ბეა (გმა-დამ), ლახ. მეორა (შემა-დამ) солице.

სიტყვაში მზე და მის თანაბრებში მზმ მიმოვლის თავსართია და, ხშირად, სრულიად ისპობა: მთავრე—თოვარე—თორე, მტრედი—ტრედი, მღვდელი—ლედელი—ლელი, იგივე მოვლენა შეინიშნება არიულეზშიც. შეად.

გვ. 3**): „ქართ. მზე (ზმა-დამ), რუს-სლავ. мо-лок-о=м-лек-о ვით. mi-luk-s

გერმ. mi-leh
ლათ. lac
მეგრ. ბ-ეა
ინგ. ზეა
ქართ. რძე=სდე
სვან. ლჯი

ქართულში ესევი ძირი (ზ—) აღნიშნავს ცნებას მზე, შეად.

რუს. со-лице
სანსკ. su-ra (ფესვ. su)
ლათ. so-l
თათრ. гу-н
გერმ. so-nne
ინგ. ზე-ა
ქართ. მ-ზე
მეგრ. ბ-ეა
სვან. მი-ე
ლაზ. მ-ეო-რა

ნაწარმოები: მზიანი—მზიური—მზუარი—ბეაილუ (აღმოსავლეთი)—ეაბე (მზიანი, მზობი, აღმოსავლეთი), ბზინვა და სხ. სანსკრ. ზარ (ქვერა, მზერა) ლიტვ. ზერტი რუს. ზრეტი (ზრენიე, ვ-ზორ, ე-ზირატი, ობ-ზორ და სხ.) ინგ. ზერა (zeura) ქართ. მ-ზერა (მზირვა, გაამზირა..)

ცხადია, მაშასადამე, ნაძალადეობა ფორმებისა ზმეჴ, ჟმეჴა, ჟმაჴ, რომლებიც დასკობრება ავქსონს, რომ იგინი მიამსგავსოს სემიტურს შამს (მზე). რა საჭირო იყო სიტყვების ისეთი ვადაზინჯება, როგორც ზმეჴ, ჟმაჴ, ჟმაჴ, როდესაც თვით შამს ეკვივავალენტია იმავე არიულეებისა su-ra—со-лице—so-l—ზე-ა—მ-ზე—ბ-ეა, თათრ. гу-н, სემიტ. შა-მს და ქართულში მ-ზე და არა ზმეჴ!

გვ. 3: „სემიტ. შმს მზე, ქართ. მსახური (=სმახ-ვერი) слуга, ქართ. სამხარი (სამხ-არი) солнечный, отсюда полдень, полдникъ, სამხრეთი югъ, ...“

*) მეგრ. სვან. და ინგილოურს მავალითებს ვიღებთ არსებული წიგნებიდან.

ბორბალი ქარისა დიდი буря вѣтрена велика. ქართ. ბორბალი—ბური—ბორბალი, ალბად, წარმოსდგა ზმნიდამ ბურვა. გვ. 3: „ბაალი იზ მანალი“.— „მანალი“ არავის სმენია ათადან-ბაბადან, ხოლო ბანალი კი ენათესავება არიულეებს: ძველ-ინდ. var, გერმ. wollen, ზენდ. waresa, სლავ. волость, სვან. ვარე (=ვერი), ქართ. ვარჯი, ვარსიმი (градодирѣჴ).

გვ. 3: „ბურჴი იზ მე-ჴი, მე-ჴი“.— „მერჴი“, „მე-ჴი“, მოგონილი ფორმებია, ხოლო ბერჴი (მეგრ. ბურჴი) უახლოვდება ლათინურს vitgo.

გვ. 3: „სემიტ. ზედ კრѣпкий, сильный, ქართ. დიდი (ჭიდი) великий, დიდი (ჭილდი) великий, величественный“.

ფორმები ჰილდი, ჰილი ქართულისთვის უცნობია, ხოლო დიდი არის გამოვრებული დი(=დი). ჩვენი დი-დედა არის იგივე ფრანგული grand”mère. მას საესებით ჰეარავს ბერძნული dia. „დია თეთრი“ უდრის ბერძნულს dia levkos-ს (очень бѣлый). ფესვის გამოვრებით ჩვენში წარმოსდგება ხარისხები: შვი—შავი, ჩქარა—ჩქარაჩქარა, დია—დიდი, დი—დიდი—დიდიდი. ხანდახან მთელი სიტყვები წარმოდგენენ გამოვრებულ ფესვების სახეს: ხიხიხი, ქიქიქი, ჩურჩული, გურგური, გუგუზი (ზმნიდამ გზება).

გვ. 4: „სემიტ. შბკ клялся, ქართ. ფიცა (ჭილი, ფიცა).— ქართ. ფიცი—კი განუყოფელად ჰეიებს ბერძნულ pistevო სთან ერთად.

გვ. 4: სემიტ. bhr (bwr), ქართ. ფრე колодезь изъ fhr.— მართალია, ქართ. მწერლობაში გვხვდება ფრე (ეორად. ქონ. 2, 109), მაგრამ იგი უწინდელ ბერძნულთა: φρεζα φρεζαჴ ჯა. რა საჭირო იყო ამ ბერძნულ სიტყვაში ჩამატება ასო ჰ-სი (იზъ fhrე)? ნუ თუ ეს საბერძნული შემოსული სიტყვაც ამტკიცებს ქართულის ნათესაობას სემიტურებთან!

გვ. 4: ფართო=ფისთა.—

*) პიპოკრტი (V ს. ქრ წ.) ამბობს: „კოლხიდაში უმთავრესად ჰებრევეს სამხრეთის ქარები, გარდა ადგილობრივ ქარისა, რომელიც მეტად ძლიერია, ცხელი და უსიამოვნო. მისი ადგილობრივი სახელია „კენ-ზრონ“. ალბად იგულისხმებს ან ქვე-ნა-ქარს, ან ზენა-ქარს.

იყიდება

ორიპინესელი

ქართულ გიმნაზიის პირდაპირ... პირობის გასაგებად შეიძლება მოლაპარაკება: მიხაილოვის პროსპ., 97, ბინა 25 დღის 8-10 საათამდე და სიღამის 4-6 საათამდე. 3-2

კახეთის რეზინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

| | |
|-------------------|-----------------|
| თბილისიდან | 8 ს. 13 წ. დღ. |
| ნავთულ-ამიერ-კავ. | 8 " 40 " |
| ნავთულ-კახეთ. | 8 " 58 " |
| ვაზიანიდან | 10 " 06 " |
| ივრიდან | 21 " 15 " |
| საგარჯოდან | 11 " 58 " |
| ბაღიურბეგიდან | 12 " 56 " |
| მელაიდან | 2 ს. 16 წ. საღ. |
| გურჯაანიდან | 3 " 37 " |
| კარდენახიდან | 4 " 12 " |
| წვრილი-წყალზე | 4 " 44 " |

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

| | |
|-------------|-----------------|
| გურჯაანიდან | 3 ს. 42 წ. საღ. |
| განაძინიდან | 4 " 33 " |
| თელავში | 5 " 27 " |

თბილისისკენ გოდის:

| | |
|-------------------|----------------|
| წვრილი-წყალზე | 8 ს. 58 წ. დღ. |
| კარდენახიდან | 9 " 41 " |
| გურჯაანიდან | 10 " 24 " |
| მელაიდან | 11 " 39 " |
| ბაღიურბეგიდან | 12 " 59 " დღ. |
| საგარჯოდან | 2 " 80 " |
| ივრიდან | 2 " 50 " |
| ვაზიანიდან | 3 " 55 " |
| ნავთულ-კახეთ. | 4 " 58 " |
| ნავთულ-ამიერ-კავ. | 5 " 13 " |
| თბილისში | 5 " 28 " |

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

| | |
|-------------|----------------|
| თელავიდან | 8 ს. 54 წ. დღ. |
| განაძინიდან | 9 " 25 " |
| გურჯაანში | 10 " 07 " |

ამიერ-კავკასიის რეზინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

| | |
|----------------------|-----------------|
| № 3 ბაქოდან | 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 ბათიმიდან | 5 ს. 55 წ. საღ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. საღ. |
| № 10 ბათიმიდან | 9 ს. 51 წ. დღ. |
| ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დღ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დღ. |

თბილისიდან გადის:

| | |
|--------------------|------------------|
| № 3 ბათიმიდან | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 ბათიმიდან | 8 ს. 53 წ. საღ. |
| ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი ავთიაკი

პროვიზორის ახვლედიანისა. 25-14

კინამე განმარტა, რომ **ვ. ყიფიანის** მიერ ნაჩვენები კანონი საშობლო ენაზე სწავლების უფლებას არავის ანიჭებდა, იგი მხოლოდ უფლებას აძლევდა კერძო სასწავლებლის პატრონს სამოსწავლო პროგრამაში ის სავსეები შეეტანა, რაც თითონ სურდა, ხოლო სწავლება სავსეების რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო. ორატორმა შემდეგ ის აზრი გამოთქვა, რომ რეორგანიზაციის პირველ ხანებში შეიძლება შემცირდეს გიმნაზიაში კურსდამთავრებულთა რიცხვი, მაგრამ ამას დროებითი ხასიათი ექნება. **ბ-მ** **ჩაბლი** აზრით, შეუძლებელია 7 კლასი გაათავოს ახალგაზრდა ჩვენში და რუსული კარგად არ იცოდეს, ასე რომ ამ მხრივ დაბრკოლება არ იქნება. კაცს თუ ცოდნა აქვს, ეგზეზენის მიცემა არ გაუჭირდება. რაც შეეხება დიპლომს, ორატორი იმ აზრისაა, რომ წინანდელი შეხედულებით დიპლომზე შემცდარი; დიპლომი ჩვენთვის არც ისე საჭიროა, როგორც ბევრსა ჰგონია, რადგან დიპლომი მხოლოდ სახელმწიფო სამსახურში შესასვლელად არის საჭირო, ხოლო ეხლა, და ამის შემდეგ კიდევ უფრო სახელმწიფო სამსახურში აქ არ მიიღობენ ჩვენებს, არამედ შიდა რუსეთში და ამნიხად ძალია გვეკარგება. ორატორს საჭიროდ მიიჩნია ჩვენ განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლებმა თათბირი იქონიონ და ერთი სიტყვა შეიმუშავონ ჩვენი ეროვნული სკოლებისათვის.

ბ-მ **ა. მიქაბერიძემ** განმარტა, რომ ისეთი გიმნაზიები, საცა სწავლება სამშობლო ენაზე, უკვე აღსებობენ, მაგალითად, პეტროპოლისის გიმნაზიაში, მაგრამ იქაური შეგირდები ეგზეზენებს დაუბრკოლებლად აბარებენ რუსულ ენაზე.

პროფ. ი. ჯავახიშვილმა სთქვა, რომ ლაპარაკი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა სწავლება მშობლიურ ენაზე, ზედმეტია და სარცხილი. საკითხი, მისი აზრით, მხოლოდ იმაშია, თუ როგორ განვახორციელოთ ეს ახალი პროექტი. კიდევ აზრის რამდენიმე გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მოხსენებელი ერთხმად მიიღო კრებამ და ამ რიგად ქართულ ენაზე სწავლების სწავლება ქართულ გიმნაზიაში მოსაშობლებელსა და პირველ კლასებში სექტემბრიდანვე დაიწყება.

შემდეგი კრება მოხდება კვირას, 14 ივნისს, დღის 12 საათზე.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

| | |
|-----------------|--------------------|
| გაიყიდა: | 9 თიბათვეს |
| ტყემალი | 2 მ. |
| კიტრი 100 ც. | 7 მ. |
| ბალი | 4 მ. |
| ვაშლი | 4 მ. |
| ხენდრო | 8 მ. |
| | 10 თიბათვეს |
| ალუბალი | 4 მ. |
| ტყემალი | 2 მ. |
| ატამი | 4 მ. |
| მსხალი | 1-80 კ. |
| | 11 თიბათვეს |
| ტყემალი | 2 მ. |
| ატამი | 5 მ. |
| ხენდრო | 8 მ. |
| კიტრი | 9 მ. |

ქეხი ღეთა ამხანაგობა

„მ ა რ ტ ე ლ ი“

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამახანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიან შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად.

თეზისი გრაფველი

მე. პეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. ხახ. № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაგარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. ხახ. № 7. ტელეფონი № 712.

„სამრე-ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. ულ. მაილიკის-შვითი“, სამრე-წველებიდან ახალი ქვირითის ხიზიალა, მცირე მარლიანი, შავი „მეზონი“ ხიზიალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თარით, ფარგა და ლოქო. ხიზიალა, აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

თავზე იმანაც შეიკლათავი მტერს. ძალა-უნებურად ვეგონდებამოეტის სიტყვები: ვინ დასთვალის ზღვაში ქვიშა, და ან ცაზე ვარსკვლავები, ვინ შეამკოს ღირსეული

ქართველ გმირთა მხარელები?
ჩვენი ბრძოლა შევიდისა კენგამეზაგრა. ერთ ერთ პოლკს ჩამოაჩენია და კენ-ქილით მიდის შეგვგრემანი, სულ ახალ-გაზრდა ქაბუკი, რომელსაც პირზე გინგლებიც არ ამოსვლია

— **Какое полка?** — შეეკითხა ბრიგადის ექიმი.
— ია გრუზინ, პარუსკი ნე ზნაშ, — სთქვა მხარზე თოფ გადაგდებულმა და ხანტად ეკოკლობით განაგრძო თავისი გზა.

— ქართველი ხარ? მოიცა, მოიცა უთხრა ბრიგადის ექიმმა და შეაჩერა.
— რა გტკივა, რათა კოკლობ, რად ჩამოიჩი შენ პოლკს?
— ფეხი მტკივა.
— არა გიშავს რა, აი ცოტას კიდევ გაივლით და დაგასვენებენ, — უთხრა ბრიგადის ექიმმა მ — შეიძინა და გაისტუმრა.
— ორი საათი შემდეგ დაბა შ — იანში შეგვბედი იმავე ახალგაზრდას. დავერტყვარსი და გამოვლიაპარაკე.
— რა გვარი ხარ და საიდან ხარ?
— ვარო შანეულაშვილი, ვეკრინელი (კახელი).

— ფეხები გტკივა?
— მარჯვენა მუხლი მტკივა, ძველი მტყეხს, რამდენიმე წლის წინად ურემ-მა გადამიარა.
ჯერ „ციმბირ გოროდში“ წამიყვანეს, იქ სულ „ბალნიცაში“ ვიწვექი, ან კი ცოცხალი როგორა ვარ აქამდე: მკითხავმა რაცა ხანია მიკითხა, რომ ძლიერ ავთა ხარო.

— არა გრცხვნიან, რომ ჰკითხავ უფიც და უგონო ღდეაკეებს, იმათ უჯერებ და აქ კი ექიმებს არ უჯერებ?
— მე რა ვიცი „დობტურმა“ მითხრა, შენ არა გტკივა რაო, მუქს ტყუილად იტკივებო.

— მერამდენე პოლკში ხარ?
— „ეტაროი“ პოლკში, „სედმოი“ როტაში.
— „ეტაროი და სედმოი რა არის?
— მე რა ვიცი რა არის, მითხრეს „ეტაროი პოლკი და სედმოი როტა“ და მეც ვერ გეუბნები.
— წერო-კითხვა იცი?
— ვინ მასწავლა, კარზე „შიტილი“ გვყავდა, შკოლას შემასაც ვუზიდავდით, მაგრამ არ მომაკალებს, ხარბში დავდიოდით, თუ ცოცხალი დავებრუნდი, ყველას ვეტყვი იცნ ბიჭებს რომ წერო-კითხვა ისწავლონ, თორემ აქ ძალიან გაუჭირდებათ. მე აქ რუსული ვერ ვისწავლე და ქართულიც დამავიწყდა.
მე აქ ექვთიმეს მეძახიან. ჩემი ქალა-ღები დეკარგულა. ექვთიმე ჩემი უფროსი ძმა იყო და ორი წელიწადია რაც მოკვდა. ჩვენები ამბობენ, ჯერ შენ კენ-ქში არა ხარო, მაგრამ მწულაშმა ასე სთქვა რომ რუსის ხელმწიფეს შენ კი არ უნდა ემსახურო?

— ნელი.

ღარიბ მოწაფეთა შფჴე თბილისის გუბერნიის თბავ-აფხაურთა საზოგადოების ფარგითა ფლიური კრება.

11 ივნისს კრება გაიხსნა გ. გ. მაღალაშვილის თავმჯდომარეობით, საღამოს 8 საათ. 45 წუთზე. წარსულ კრების რქმის წაკითხვის შემდეგ გიმნაზიის საქა-ლები განყოფილების გამგეს წლიურად დაეწინა ჯამაგირი 1.500 მან. ნაცვლად წინანდელ 1,200 მანეთისა და ამის შემდეგ ხარჯთ-ადრიტების გასავალი უცვლულად დაამტკიცა.

კრებამ მოისმინა გამგე კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ვრცელი და საკ-მალო დასაბუთებული მოხსენება გიმნა-ზიაში ქართულ ენაზე სწავლის შემო-ღების შესახებ. ეს ცვლილება გიმნაზია-ში უნდა მოხდეს თანახმად 1914 წლის პირველ ივნისს კანონისა, რომელიც ეკ-რძო სასწავლებლებს უფლებას ანიჭებს სწავლება საშობლო ენაზე იყვეს, თუ კი სასწავლებლის პატრონი მოისურვებს. მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

გ. რცხილაძე ამბობს, რომ ქართული სახელმძღვანელოებია საჭირო, რომლებიც რამდენათაც ვიცით, არა გვაქვს და საიდგან უნდა ვიმოვიოთ. **გ. ქურ-დიანი** იკითხა, რა გარანტია გვაქვს იმისა, რომ შეგირდები ეგზეზენს დი-ქტორ რუსულ ენაზე. ამიტომ საჭიროა, რასაც ქართულად ასწავლიან, იგივე რუსულს ენაზე გაიმეორონ. ხშირად ვხედავთ ხოლმე, რომ კაცს ცოდნა აქვს,

მაგრამ მისი გამოთქმა უძნელებდა, ეგზე-მენების ჩასაბრუნებლად სწორედ გამო-თქმა არის საჭირო და იმისათვის საჭი-როა ვარჯიშობა. უამისოდ ჩვენი შეღე-ბი რუსულს ენაზე ეგზეზენების ჩაბრუნებას ვერ მოახერხებენ და უძალესი სასწავ-ლებლების გზა მიესპობათ. ეს რომ ასე არ მოხდეს, ორატორის აზრით, საჭიროა განზრახული მეთოდით მოსაშობლებელი კლასის ნაცვლად გაიხსნას მეცხრე გიმ-ნაზიური კლასი, რომელშიაც შეგირდები რუსულს ენაზე გაიმეორებენ ქართულად ნასწავლ სავსენებს. **ბ. ჰიქინაძემ** აღნიშნა-რა წმინდა პედაგოგიურის მოსახრებეთ საშობლო ენაზე სწავლის უზირატელობა, შეეხო ახალი წესით სწავლების პრაქტი-კულს მხარეს. მისის აზრით, პირველს 7 საგიმნაზიო კლასში სრულიად გაივლიან მოსწავლენი გიმნაზიის სავსენებს; შემდეგ 1-2 წელიწადი უნდა მოაწადიონ ქარ-თულად ნასწავლის რუსულს ენაზე გამე-ორებას. გარდა ამისა, ქართულთან ერ-თად მოსწავლეებმა საფუძვლიანად უნდა გაიარონ რუსული ენა და ლიტერატურა, ასე რომ შემდეგ კლასის გათავებისას რუსული ენის ცოდნაში საკმაოდ წელ-გამაგრებულები იქნებიან ბავშვები, რაიც შესაძნეველად გაუადვილებთ საქმეს. ორა-ტორმა შემდეგ აუწყა კრებას, რომ ხსე-ნებული საკითხის შესახებ ჰუთისის თა-ვად-ახანაურობას ჰქონია თათბირი და იმ აზრს დასდგომია, რომ მთავრობ-ის წინაშე აღძრას შუამდგომლობა, რათა ქართული გიმნაზიის მოსწავ-ლეთ ქართულს ენაზე მოსთხოვონ ეგზეზენები იმ სავსენებს, რომლებიც ქართულად უსწავლიათ, ხოლო რუსულს ენაზე რუსულად ნასწავლი სავსენები. და-სასრულ ბ-მმა ჰიქინაძემ სახელმძღვანე-ლოების შესახებ ილაპარაკა და განაცხა-და, რომ მოსაშობლებელი და პირველი კლასებისათვის, საიდანაც წელს უნდა დაეწყოთ სწავლება ქართულს ენაზე, უკვე გვაქვს სახელმძღვანელოები განა-ანგარიშისა და გერამუსლისა, რომლე-ბიც სექტემბრამდე უკვე მზად იქნებიან-ო. რაც შეეხება შემდეგი კლასებისა-თვის სახელმძღვანელოებსო — განაგრძო ორატორმა — ამაზედ უკვე იზრუნეს ქარ-თული გიმნაზიების მასწავლებლებმა. ამას წინადა მე და ბ. ჰიქინაძემ ჰუთა-ისში ვიყავით და იქ გადაწყდა მასწავ-ლების 2 მუღმვი კომისია არსებობდეს (1 ჰუთისისში და 2 ტფილისისში), რომლე-ბიც, სხვა მცოდნე პირთა დახმარებით, ყველა სახელმძღვანელოს შედგენას კის-რულობდნენ. **ბ-მმა ტარუაშვილმა** წინა-დადება მისცა კრებას, საღვთო სჯული სექტემბრიდანვე ქართულს ენაზე ისწავ-ლებოდეს ყველა კლასში. **ბ-მმა ლ. ბო-ცვაძემ** ბევრი ილაპარაკა ეხლანდელი რეორგანიზაციის სარგებლობაზე და თელსაჩინოდ დაამტკიცა უნიდაგობა შიშისა იმის შესახებ, რომ ეგზეზენების ჩაბარება გაუძნელებდათ შეგირდებსო. **ბ-ნი ი. რატიშვილის** აზრით შეიძლება ბევრს რასმეში შევცდეთ, როგორც ეს ყოველს ახალს საქმეს სჩვევია, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს, რადგან შე-ცდომილება თანდათან გასწორდება. ორატორი ამტკიცებს, რომ დიპლომიც სა-ჭიროა ჩვენთვის და ამიტომ ვინცა რუსე-თის უმაღლეს სასწავლებელში მოისურვებს წასვლას, იმისთვის აუცილებელია რუსული ენის კარგად ცოდნა, ხოლო ვინც საზღვარ-გარეთ წასასვლელი იქნება, იმისთვის ეგზეზენების სისასტიე საშიში არ არის.

ბ-ნი ვ. ყიფიანს აკვირვებს ის, რომ ცნობილი პედაგოგი და ცხოვრებაში გა-მოცდილი **ბ. ჰიქინაძე**, მისის (ყიფიან-ის) აზრით, ოცნების ტალღებში სტუ-რავს. **ბ-ნ ყიფიანის** სიტყვით, კანონი საშობლო ენაზე სწავლების შესახებ 1872 წელსაც გამოიცა, მაგრამ იგი ცხოვრებაში არასოდეს არ გატარებულა. როცა მის ასრულებასზე მიდგებოდა საქ-მე, მუდად ხელს გვიშლიდნენ და ეხლაც ისევე მოხდება. ეგზეზენები, კანონით, უნდა იქმნას რუსულს ენაზე და რა გინდ მომზადებულნი იყვნენ ჩვენი შეილები, მაინც ჩასტრიან, სხვა მიზეზიც რომ არა დაჩრებს რა, მხოლოდ იმისთვის, რომ ქართულად გაუფლეთ სავსენი. ამის დასამტკიცებელი მაგალითები ბლომად მოიყვანა ორატორმა. შემდეგ მან მიჰპარ-თა კრებას, რომ ატესტატის იმედი ნუ-ღარ ექნებათ ჩვენს შეილებს და ისე მოამზადეთ ისინი, რომ ლუქმა პურის საშობლო ენაზე ატესტატი არ დასტრადე-თო. **ხ. ბაქაძე** თანხმდება **ბ-ნ ყიფიანს** და ამბობს, თუ ახალს პროგრამას განა-ხორციელებთ, იმას ნულარ უსაყვედუ-რებთ ჩვენს გიმნაზიას, რატომ ბევრმა ვერ დაამთავრა კურსი. **ბ-მმა აღ. ჰი-**

ლოდ სახლის ზევით სართულში მცხოვე-რები შეშინდნენ.

ქალაქის თვითმართველობაში. ვასულ წლის ტენიკური და საფინანსო ანგარიში თბილისის საელქტრონო სა-დეურისა უკვე შედგენილია. იგი ჩქარა გადაეცემა წინასწარ განსახილველად ტენიკურსა და საფინანსო კომისიებს და შემდეგ წარედგინება ქალაქის საბ-ქოს.

სანოვაგე. 11 ივნისს მოტანლია თბილისში: ფქვილი 8 ვაგ., სიმინდი 4 ვაგ., შაქარი 1 ვ., ფხვნილი შაქარი 2 ვაგ., მავარონი 1 ვ., ქერი 2 ვაგ., ნა-ხერხი 1 ვაგ., ქვის ნახშირი 1 ვაგ., ახა-ლი თევზი და ხიზილა 1 ვ., ახალი ხილი 1 ვ., ქვის ნახშირი 1 ვაგ., რკი-ნეულობა 1 ვაგ., ბე-ტყე 9 ვაგ., ნავთი 5 ვაგ., სპიჩკა 10 ფუთი, კომპოსტო 50 ვაგ., ახალი კიტრები 30 ფ. წვანილეუ-რი 389 ფ., კვერცხები 109 ფ., ქათმები 71 ფ., ქალაღი 32 ფ., სპირტი 189 ფ., ტყავი 306 ფ., წმინდა სანთელი 387 ფ., ქონი 57 ფუთი.

გიმნაზიების დაცლის შესახებ.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნ-ველმა ნ. თ. რუდოლფმა თხოვნით მი-მართა კავკასიის ჯარების უფროსს, გენ-ლეიტ. ს. ვ. ვოლსკის, განკარგულება მოახდინოს, რათა გადატანილ იქნას თბილისის მეორე სავაეო და მეექვსე საქალბო გიმნაზიიდან სამხედრო ლაზა-რეუბნით. ამის გამო გენერალმა ვოლს-კიმ სთხოვა კავკასიის ქალაქთა ბუროს თავმჯდომარეს, ა. ი. ხატისოვს, სთხოვა ი. შოვროს ხსენებულ ლაზარეთებისათვის სხვა შენობები. ბ-ნ ხატისოვს ეს საქმე საინვლოდ მიაჩნია და თავის მხრივ სთხოვა გენერალ ვოლსკის, ხსენებული სასწავლებლები ჯერ დარჩეს იმავე გიმ-ნაზიებში, რადგან ლაზარეთების სხვაგან გადატანა დიდ ხარჯს და შრომას თხო-ვლობს.

შუამდგომლობა. ამას წინად

საინტენდანტსტომ ქალაქის გამგეობას ასესხა 5,000 ფუთი შაქარი, რომლის გადახდას იგი ეხლა თხოვლობს. ამის გამო ქალაქის გამგეობამ შუამდგომლო-ბა აღძრა საინტენდანტსტვის წინაშე შაქრის მაგიერ ფული წაიღოს იმის კვა-ლიდაზე, რამდენიც ღირს ნასესხები შა-ქარი.

კრება. დღეს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში უნდა შესდგეს ქალაქის თვითმართველობის მოსამსახუ-რეთა შენახვლ-გამსესხებელ კასის წევრ-თა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს გამგეობის მოხსენება კასის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შე-სახებ და მიმდინარე საქმეები. კრება კანო-ნიურად ჩათვლება, რამდენი წევრიც უნ-და გამოცხადდეს.

ბრკოლის პელიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

მდინარე ღუბისაზე რუსეთის ჯარი ვადადის და ვადმოდის. ერთი და იგივე სოფლები და დაბები ხან გერმანელების ხელშია, ხან რუსების, ზოგიერთ სოფელს შორიდანვე ეტყობა, რომ ისინი ერთის ხელიდან მეორეში გადასულან, რადგან სახლები ვადებულა და აქა იქ გამო-რული ეკლდების ნანგრევები შავად გა-მოიყურებიან. აქეთ უფრო ხის სახლებია და მცხოვრებნიც ღარიბები არიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მემამულ-ეებს, რომლებიც ცალკე, საკუთრივ, შეუფრად სტოვობდენ. ღარიბ ხალხიდან გერმანელები რას წაიღებდნენ, რას წა-აროშევდნენ და მემამულეებს კი აბა რას დასოგავდნენ? მცხოვრებლები მოგვიოთ-ხიობენ, რომ მშლე საქონელი არ მიჰ-ყავდათ გერმანელებსო. თუ ვიტყობე-ლით და შევხვეწებოდით, ხშირად გვი-ღობდნენ და საქონელს გვიტოვებდნენ. კავკასიელი პოლკები (ოთხია) მედვარდ იბრძვიან, ერთ ადგილას საფლავზე გერ-მანელებს ასეთი წარწერა დეტოვათ: „აქა მარხიან პარუსიკი და 11 გუსლადი ჯარისკაცი კავკასიის ბრვიადისათა“.

ოღონდაც რომ კავკასიელები დიდ გულადობას იჩენენ. თითქმის ყველა ქარ-თეული აფიცარი ორდენებით არის და-ჯილდოვებული. წინა წერილში გვერდით, რომ აფი-ცარი გურგენიძე, რომელიც პარუსიკად ჩამოვიდა და პოლკოვნიკობა მიიღო, მოჰკლეს მეოქი. ერთი კვირის შემდეგ (სულ ერთი კვირა იყო ბრძოლის ველზე), მისი ბიძაშვილი, ახალგაზრდა პრაპორში-კი გურგენიძეც მოგვიკლეს. საცოდავი სწორედ იმ დღეს ჩამოვიდა, როდესაც მისი ბიძაშვილი დასაფლავდას. შეიღის